დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N33.
„08—05—“2018 წ. ოქმი N 8.

სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. **სასწავლო პროცესის დაგემვა-განხორციელება:**

სასწავლო პრეოცესის ეფექტურად წარმართვისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები სასწავლო წლის დასაწყისისთვის ფაკულტეტებზე სპეციალობების მიხედვით ატარებენ შეხვედრებს ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების მასწავლებლებთან, სადაც განიხილება პროფესიული პროგრამის მოდულების ყველა პუნქტი. მასწავლებლებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი კალენდარული გეგმის შემუშავებაზე. უკვე შემუშავებული კალენდარული გეგმები კი განიხილება. დგება სასწავლო ცხრლის მონახაზი. ამასთნ ერთად განიხილება შეფსების პროცესის დაგეგმვა: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.

2. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია**

აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუსაღდგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანია უზრუნველყოს სტუდენტის მხარდაჭერა მისი განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც,საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმით სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელება შეუძლებელი ხდება.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

1.იმ შემთხვევაში,როდესაც სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს: პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტს სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის

შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა;

2.მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, როდესაც მიღწეული და მისაღწევი სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების მსაღწევ სწავლის შედეგებთან: ასეთ შემთხვევაში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და შესაბამისი პროგრამის მასწავლებლის(ების) მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის(ების) ფარგლებში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

3.სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტი, რომელიც აღიდგენს სტუდენტის სტატუსს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას: ამ შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რისთვისაც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ათვისებულ სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს სასწავლო განრიგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი ცოდნის და უნარების შეძენა.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

6.პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრულ უნდა იქნას მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.

3. **სასწავლო პროცესის საჭირო მასალითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**

მოდულისათვის საჭირო მასალების შეძენა ხდება, გონივრული ვადების გათვალისწინებით რაც გულისხმობს შესყიდვების პროცედურების განხორციელებას. შესყიდული მასალების მიღება-ჩაბარება, შემოსავალში აყვანა, გაწერა-ჩამოწერა.

კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ მოდულურ პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის შედეგად მიღებული დაფინანსება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებისათვის, რომელიც ეფუძნება პროფესიული განათლების მიზნებს. ამასთანავე წინასწარ არის ცნობილი იმ მასალების ჩამონათვალი, რომელიც ესაჭიროება მოდულის განხორციელებას.

პროგრამის ადმინისტრირების პროცესში ჩართულია სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც მოქმედებს ორგანიზებულად და თანმიმდევრულად. ჯგუფი შედგება შემდეგი პირებისაგან:

1. სასწავლო პროცესების მართვის სპეციალისტი;
3. ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი;
4. საწყობის გამგე;
5. აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის სპეციალისტი;
6.პროგრამის განმახორციელებლები

პროფესიული პროგრამის პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია ვადების გაწერა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს საბოლოო შედეგის მიღწევისათვის. კერძოდ:

ვინაიდან თანხის მიღების ვადა უკვე დაწესებულია ყოველი კვარტალის დასაწყისში, პირველ ეტაპზე პროგრამის განხორციელებისას კვარტალური დაფინანსების მიღებამდე უნივერსიტეტი არსებული ფინანსური სახსრებით შეიძენს მოდულით გთვალისწინებულ საჭირო მასალებს.

დაფინანსების შემდეგ მოხდება, ეტაბობრივად შემდგომი მოდულებისათვის საჭირო მასალების შეძენა გონივრულ ვადებში, რათა მოდულების მიმდინარეობას არ შეეშალოს ხელი.

მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით.

ხოლო აღრიცხვა ანგარიშგების სპეციალისტის მხრიდან გახარჯული მასალების ჩამოწერის განხორციელება პასუხისმგებელი პირის მოთხოვნის საფუძველზე.

4. **მასლების ან/და ნედლეულის გამოყენება და ნარჩენების მართვა (სამედიცინო მასალების გამოყენების, გამოუყენებელი მასალების დროებითი შენახვისა და ნარჩენების მართვა)**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცნო მიმართულების პროფესიული სტუდენტების სწავლებისას წარმოიქმნება ე.წ. „ ა“ კლასისა და „ბ“ კლასის სამკურნალო პროფილაქტიკური (სამედიცინო) ნარჩენები.

„ა“ კლასს მიეკუთვნება უსაფრთხო (საყოფაცხოვრებო) ნარჩენები. „ა“ კლასის ნარჩენები წარმოიქმნება, როგორც სასწავლო აუდიტორიებში, ასევე იმ სამედიცინო დაწესებულებებში

სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას. „ა“კლასის სამედიცინო ნარჩენების შეგროვება და დროებითი შენახვა ხორციელდება დაწესებულებაში წარმოქმნილ სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. მათ ტრანსპორტირებას დაწესებულებიდან და გაუვნებლობა-განადგურებას ხელშეკრულების საფუძველზე ახდენს მერიის შესაბამისი სამსახური.

„ბ“ კლასს მიეკუთვნება საშიში (სარისკო) ნარჩენები, ანუ ისეთი ნარჩენები, რომლებიც შეხებაში იყვნენ ე.წ. ბილოგიურ სითხეებთან, მაგ. სისხლთან, შარდთან, ნერწყვთან და ა.შ. „ბ“ კლასის ნარჩენებს მიეკუთვნება მაგ. გამოყენებული შპრიცები, შპედელები, სკარიფიკატორები და ა.შ. „ბ“ ჯგუფის ნარჩენები წარმოიქმნება მხოლოდ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას. აღნიშნულ დაწესებულებებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმები. „ბ“კლასის ნარჩენების შეგროვება, პირველადი გაუვნებლობა და დროებითი შენახვა ხდება აღნიშნული დაწესებულებების ნარჩენების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ.

„ბ“ კლასის ნარჩენების დაწესებულებიდან ტრანსპორტირება და მათი საბოლოო გაუვნებლობა-განადგურება ხდება სპეციალური ლიცენზიის მქონე დაწესებულებების მიერ, რომელთანაც სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებები.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვის და გაუვნებლობის სანიტარული წესები რეგლამენტირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №300/ნ ბრძანებით.